საქართველოს იურისტთა კავშირი Georgian Lawyers' Union

სამართალი

ISSN 0868-4537

2001

№ 1-2

მეცნიერება
პუბლიცისტიკა
პრაქტიკა

საქართველო, თბილისი

ედიშერ ფუტკარაძე

საპატიო უკიდურესი აუცილებლობა ინგლისურ და გერმანულ სისხლის სამართალში

საპატიო უკიდურესი აუცილებლობა არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. ეს გარემოება არ არის კარგად დამუშავებული ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში. მას არ ცნობს ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობა უცნობია რუსული სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვისაც. როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცნობს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობას. მართალია რუსული სისხლის სამართლის მეცნიერებაში ვხვდებით შეხედულებებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებების საპატიოდ ჩათვლის შესახებ, მაგრამ ამ დროს უპირატესად ყურადღება ექცევა დაზიანებულ და გადარჩენილ სამართლებრივ სიკეთეთა შორის თანაფარდობას, რაც მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის წინაპირობაა. შეიძლება ითქვას, რომ რუსული სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც საპატიო უკიდურესი აუცილებლობის პრობლემა სათანადოდ დამუშავებული არ არის.

ჩვენი აზრით, ამას აქვს თავისი საფუძველი. რუსული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობაც ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს. საპატიო უკიდურესი აუცილებლობის საკითხი შეიძლება დაისვას მაშინ, როცა ეს გარემოებები ერთმანეთისაგან განსხვავებულად განიხილება და გადასაწყვეტია საპატიო უკიდურესი აუცილებლობა იქნება თუ არა ბრალის გამომრიცხველი გარემოება. უკიდურესი აუცილებლობის დაყოფა მართლზომიერ და საპატიო უკიდურეს აუცილებლობად პირდაპირ კავშირშია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად გამიჯვნასთან. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ-დანაშაულის ცნებასთან, იმის გარკვევასთან, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან დანაშაულის ცნების ცალკეული ნიშნები.

ახალმა ქართულმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ აღიარა დანაშაულის სამნიშნოვანი ცნება. ერთმანეთისაგან გამიჯნა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობის ზეგავლენა, სადაც საპატიო უკიდურესი აუცილებლობის პრობლემა მეცნიერულად საკმაოდ მაღალ დონეზეა დამუშავებული.

საპატიო უკიდურეს აუცილებლობას, როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას აღიარებს მხოლოდ გერმანული (ამავე დროს კონტინენტური ევროპის) სისხლის სამართლის მეცნიერება, თუ იგი ცნობილია სხვა სამართლებრივი სისტემის (მაგ: ანგლო-ამერიკული) ქვეყნებისთვისაც? მართალია მათი ზეგავლენა ქართული სისხლის სამართალზე გერმანულთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ, სანამ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლე-

ბული არ იქნება განვიხილოთ უკიდურესი აუცილებლობის ფორმები ინგლისური სისხლის სამართლის მიხედვით. მით უმეტეს, რომ ინგლისური სისხლის სამართლის მეცნიერება მხოლოდ მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობით (necessity-rechtfevtigender Notstand) არ შემოიფარგლება. გარდა ამისა იგი ცნობს იძულებით გამოწვეულ უკიდურეს აუცილებლობას (duress by threats-Nötigungsnotstand) და უკიდურეს აუცილებლობას გარემოებების გამო (duress of circumstances-Notstand durch Umstände).[1]

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა განსხვავებაა უკიდურესი აუცილებლობის ზემოთ დასახელებულ ფორმებს შორის, ამისათვის საჭიროა დავადგინოთ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რომელ ნიშნებს გამორიცხავს თითოეული მათგანი. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ინგლისური სისხლის სამართლის მიხედვით შერაცხვის კატეგორიების გამოკვლევას, იმის დადგენას, თუ რას მოიცავს დანაშაულის ცნება და შესაბამისად პასუხისმგებლობის საფუძვლები. გერმანული და ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის სამნიშნოვანი ცნებიდან გამომდინარე ასეთ საფუძვლებად ცნობს ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. ინგლისური სისხლის სამართლის თავისებურებებიდან გამომდინარე, განსხვავებულია დანაშაულის ცნება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ინგლისური სისხლის სამართალი დასჯადი ქმედების შემოწმებისას განასხვავებს შერაცხვის ორ ძირითად კატეგორიას (Kategorien strafrechtlicher Zurechnung). ესენია: actus reus და mens rea. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაგება შერაცხვის ამ ორი კატეგორიის მეშვეობით გამოიხატება გამონათქვამში: Erst die persönliche Schuld verleiht dem verbotenen tun einen kriminellen charakter (მხოლოდ პერსონალური ბრალი აძლევს აკრძალულ ქმედებას დანაშაულებრივ ხასიათს). შერაცხვის კატეგორია actus reus ასახავს მოქმედის მიერ სამართლებრივი აკრძალვის ანდა მოთხოვნის დარღვევას. mens rea კი ნიშნავს, რომ მოქმედი სამართლებრივ აკრძალვას მნიშვნელოვანი ბრალით არღვევს.[2] *

თუკი ქმედების შემოწმებისას დადგინდა, რომ სახეზეა როგორც actus reus, ასევე mens rea, მაშინ გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამასთან არ უნდა არსებობდეს დაცვის შეწინააღმდეგება.*

დანაშაულის ცნებაში defence-ს ადგილის, actus reus –სა და mens rea-ს მიმართ მისი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ინგლისურ სისხლის სამართალში განასხვავებენ დანაშაულის ორნიშნოვან და სამნიშნოვან ცნებებს. გ. უილიამსი მიიჩნევს, რომ defence არის actus reus-ის ნეგატიური ნიშნები და ამდენად მხოლოდ მათი არ არსებობის შემთხვევაში ითვლება actus reus შესრულებულად. გ. უილიამსის მიხედვით განსაზღვრულია დანაშაულის ორნიშნოვანი ცნება. ამის საწინააღმდეგოდ დ. ლანჰამი defence-ს ანიჭებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და დანაშაულის სამნიშნოვან ცნებას უჭერს მხარს. ინგლისურ სისხლის სამართალში საბოლოოდ უპირატესობა მოიპოვა დანაშაულის სამნიშნოვანმა სისტემამ, რომლის მიხედვითაც actus reus –სა და mens rea-სთან ერთად defence დანაშაულის ცნების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს.

---

[1] Jens Watzek, Rechtfertigung und Entschuldigung im Englischen strafrecht, Freiburg 1997, s 133.

[2] იქვე გვ.38.

*actus reus მოიცავს პასუხიმგებლობის ყველა ობიექტურ ელემენტებს. ის შეედრება გერმანულ სისხლის სამართალში obiektiven Tatbestand-ს. თუ მოქმედი ქმედების actus reus-ს ნიშნებს არ განახორციელებს, მაშინ პასუხისმგებლობა გამორიცხულია თავიდანვე. mens rea გაბატონებული შეხედულების შესაბამისად აღნიშნავს დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტურ ნიშნებს. როგორც mens rea-ს შესაძლებელი ფორმები მხედველობაში მიიღებიან განზრახვა(Absicht), უყურადღებობა (Rücksichtslosigkeit) და გაუფრთხილებლობა (Fahrlässigkeit). ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. დასახ. ნაშრომის გვ. 38-57

*defence დაცვა, Verteidigungseinrede-დაცვის შეწინააღმდეგება გერმანულად, ასე ეწოდება იმ გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ გამორიცხონ შერაცხვის რომელიმე კატეგორია ან ამ კატეგორიების არსებობის მიუხედავად ქმედება დაუსჯელი დატოვონ. ისინი გამორიცხავენ (ეწინააღმდეგებიან) დასჯადობის რომელიმე საფუძველს, შერაცხვის რომელიმე კატეგორიას და ამიტომ მათი არსებობისას მოქმედი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ მისი შემოწმებისას უნდა გაირკვეს არის თუ არა სახეზე შერაცხვის ორივე კატეგორია actus reus და mens rea. ამის შემდეგ უნდა დადგინდეს ხომ არ არსებობს დაცვის რომელიმე გარემოება. მათი არსებობისას შეიძლება უარყოფილი იქნას actus reus. მათ ასევე შეუძლიათ შედეგად mens rea-ს გამორიცხვა გამოიწვიონ ან მიუხედავად ორივე მათგანის არსებობისა მათი გამოყენებით მოქმედმა დაუსჯელობას მიაღწიოს.[3] მაშასადამე, defense-ს შეუძლია როგორც actus reus-ს და mens rea-ს გამორიცხვა ცალ-ცალკე, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა მათი არსებობის მიუხედავად. ეს დაკავშირებულია defence-ს მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად დაყოფასთან.

დაცვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დაყოფა მართლწინაღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად ცნობილია ინგლისური სისხლის სამართლისთვისაც. იგი სათავეს ღებულობს საერთო სამართლის მკვლელობის დელიქტებიდან. 1828-წლამდე common law განასხვავებდა გამამართლებელ და საპატიო მკვლელობებს, რა დროსაც გამამართლებელი მკვლელობა მოქმედისთვის სრულიად უსანქციო რჩებოდა. თუკი მოქმედს მარტო ეპატიებოდა, მაშინ განზრახი მკვლელობისგან თავისუფლდებოდა, თუმცა ხდებოდა მისი ქონების კონფისკაცია. 1828 წ-ს ქონებრივი სანქციის უარყოფით გაუქმდა განსხვავება გამამართლებელ და საპატიო მკვლელობებს შორის, რადგან მათ აღარ მისცეს არაეითარი პრაქტიკული მნიშვნელობა.[4] გამამართლებელ და საპატიო გარემოებებს შორის განსხვავების შემდგომი განვითარება. შეაფერხა 1883 წლის სასამართლო გადაწყვეტილებამაც, რომელმაც ასევე უარყო გამამართლებელ და საპატიო მკვლელობას შორის პრაქტიკული სამართლებრივი მნიშვნელობა.

ამ გარემოებებს შორის განსხვავების მნიშვნელობაზე დისკუსია ინგლისურ სისხლის სამართალში განახლდა ამერიკელი მეცნიერის გ. ფლეთჩერის შრომების შემდეგ.* ფლეთჩერის დებულებებმა მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვეს ინგლისური სისხლის სამართლის დოგმატიკაში. სმიტი და ჰოგანი ჯერ კიდევ უარყოფენ დაცვის გარემოებების გამამართლებელ და საპატიო გარემოებებად დაყოფის შესაძლებლობას. მათ საწინააღმდეგოდ აშვორთი, კლარკსონი და კითინგი აღიარებენ გამამართლებელ და საპატიო გარემოებებს შორის განსხვავების მნიშვნელობას.

ამრიგად, ინგლისური სისხლის სამართალიც ცნობს ქმედების გამართლებას ან პატიებას. უკიდურესი აუცილებლობის ზემოთ დასახელებული ფორმებიდან რომელია გამამართლებელი და რომელი საპატიო? იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა (duress by threats) და უკიდურესი აუცილებლობა გარემოებების გამო (duress of circumstances) მიეკუთვნებიან იძულებით გარემოებებს (duress), ხოლო მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობა (necessity) აუცილებლობით გამოწვეულ გარემოებებს. მისი მართლზომიერებისათვის აუცილებელია გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთის უპირატესობა დაზიანებულ სამართლებრივ სიკეთესთან შედარებით.

ინგლისურ სისხლის სამართალში უკიდურესი აუცილებლობის ფორმათაგან ყველაზე უფრო მეტად დაფუძნებულია იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა. ამ გარემოებას მოქმედი შეიძლება დაეყრდნოს მაშინ, როცა ის დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად იძულე-

---

[3] Jens Watzek, Rechtfertigung und Entschuldigung im Englischen strafrecht, Freiburg 1997, s 82.

[4] იქვე გვ.74—77.

* ფლეთჩერის მოსაზრებათა საწყისს წარმოადგენს იმის დადგენა, რომ ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალი ადრე უგულებელყოფდა განსხვავებას ობიექტური უმართლობის კომპონენტებსა (obiektiven Unrechtskomponente) და სუბიექტური ბრალის კომპონენტებს (subiektiven Schuldkomponente) შორის. მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამიჯვნის საფუძველზე ფლეთჩერი ავითარებს გამართლებასა და პატიებას შორის განსხვავების შესაბამის თეორიას, რა დროსაც წარმოაჩენს დამოკიდებულებას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებსა და მართლწინააღმდეგობას შორის, შესაბამისად საპატიო გარემოებებსა და ბრალს შორის. გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების მსგავსად, ფლეთჩერი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს მხოლოდ მაშინ ჩარევს, როცა დაადგენს, რომ მოქმედმა დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრება შეასრულა, რა დროსაც საპატიო გარემოებები ითვალისწინებენ ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასებას.

ბულია სხვა პირის (მაიძულებლის) მიერ. ამასთან ჩვეულებითი სამართალი წინაპირობად აყენებს, რომ მაიძულებელი მოქმედს უნდა ემუქრებოდეს მკვლელობით ან სხეულის სერიოზული დაზიანებით. სხვა სამართლებრივი სიკეთეებისადმი მაგ: საკუთრებისადმი მუქარა საკმარისი არ არის. იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობისათვის. დამახასიათებელია, რომ მოქმედი მაიძულებლის დავალებით ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას იძულების გამო. ამდენად საფრთხის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ადამიანის ზემოქმედება.*

ადამიანის ზემოქმედებას მიიჩნევდა საფრთხის წყაროდ სასამართლო პრაქტიკა უკიდურესი აუცილებლობისათვის გარემოებების მიხედვით ყველა თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებში. სასამართლო პრაქტიკა აქაც, ისევე როგორც იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობისას, წინაპირობად მოითხოვს საფრთხეს სიცოცხლისათვის ან ფიზიკური ხელშეუხებლობისათვის. duress of circumstances –სას დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა მიიღწევა მოქმედის მცდელობისას, თავი დააღწიოს მაიძულებლის მუქარას. ასე, გარემოების მიხედვით უკიდურესი აუცილებლობის შესაბამისია, როცა მოქმედი მაიძულებლისგან გაქცევისას გადააჭარბებს მოძრაობის ნებადართულ სიჩქარეს. საapელაციო სასამართლომ გარემოებების გამო უკიდურესი აუცილებლობისას ადამიანის მოქმედების გარდა საფრთხის წყაროდ მიიჩნია ასევე უბედური შემთხვევები და ბუნებრივი მოვლენები, რომელიც გაიზიარა მეცნიერებამაც (აშვორთი).

duress –ის ორივე ფორმა მოითხოვს, რომ მოქმედს არ მოეთხოვებოდეს საფრთხის თავის თავზე მიღება. duress გამორიცხულია ასევე მაშინ, როცა მოქმედს შესაძლებლობა ჰქონდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა სხვა გზით აეცილებინა.

* იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის შესახებ გერმანულ სისხლის სამართალში იხ. ფუტკარაძე. 'იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა გერმანულ სისხლის სამრთალში' 'ადამიანი და კონსტიტუცია" 1999 წ. №2. იძულებით გამოწვეული უკიდურეს აუცილებლობას მოიცავს საპატიო უკიდურესი აუცილებლობა და ამჟამად იგი ცალკე მუხლებით აღარ რეგულირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, necessity-ის დროს ჩადენილი ქმედება გამოწვეულია აუცილებლობით, ხოლო duress-ის ორივე ფორმაში, როგორც იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობისას, ასევე უკიდურესი აუცილებლობისას გარემოებების გამო, იძულებით. შესაბამისად, სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ისინი შერაცხვის კატეგორიებზე. თუკი duress-ის რომელიმე ფორმის არსებობისას ქმედება დაუსჯელი რჩება მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა actus reus და mens rea, necessity მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის ფორმით გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და ამით actus reus-ს.[5]

ჩვენი აზრით, duress ორივე ფორმას ინგლისურ სისხლის სამართალში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც საპატიო უკიდურეს აუცილებლობას გერმანულ სისხლის სამართალში. duress-ის ორივე ფორმაში ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად, როგორიც არის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა (სხეულებრივი მთლიანობა). თუმცა საპრეცედენტო სამართლის თავისებურებიდან გამომდინარე, ინგლისურ სისხლის სამართალში საპატიო უკიდურესი აუცილებლობის პრობლემა ისე კარგად არ არის დამუშავებული, როგორც გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში. არაერთგვაროვანია ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ამ გარემოებების გამოყენებისას. ჩვენ აქ არ შევეცდებით სასამართლოს ცალკეულ გადაწყვეტილებათა განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ necessity-ს და duress სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, რომ ერთი მათგანი მიეკუთვნება გამამართლებელ, ხოლო მეორე საპატიო გარემოებას. ამდენად, ინგლისური სისხლის სამართალი ცნობს საპატიო უკიდურეს აუცილებლობას მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც ანგლო-ამერიკული სამართლისთვისაა ნიშანდობლივი.

გარდა სიცოცხლისა და სხეულებრივი მთლიანობისა, რომლის დასაცავადაც ჩადენილ ქმედებას საპატიოდ თვლის duress ინგლისური სისხლის სამართლის მიხედვით, თავისუფლება წარ-

[5] Jens Watzek, Rechtfertigung und Entschuldigung im Englischen strafrecht, Freiburg 1997, s 210.

მოადგენს ისეთ სამართლებრივ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ითვლება საპატიოდ გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რეფორმამდელი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და 54-ე მუხლების მიხედვით უკიდურესი აუცილებლობის რეგულირება საპატიოდ თვლიდა მხოლოდ სიცოცხლისა და სხეულებრივი მთლიანობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ჩადენილ ქმედებას. 1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა რეფორმა, რომლის მიხედვითაც შეიცვალა ზოგადი ნაწილის მნიშვნელოვანი დებულებები. რეფორმას წინ უძღოდა სხვადასხვა პროექტების შემუშავება. ეს პროექტები 1959 წლამდე საპატიო და მართლზომიერ უკიდურეს აუცილებლობას განიხილავდნენ ერთ მუხლში. 1959 წლის და 1960 წლის პროექტები ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ მართლზომიერ და საპატიო უკიდურეს აუცილებლობას. 1959 წლის პროექტში პირველად დასახელებული იქნა თავისუფლება სიცოცხლესა და სხეულებრივ მთლიანობასთან ერთად საპატიო უკიდურეს აუცილებლობის დაცვის ქვემდებარე სამართლებრივ სიკეთედ. ასევე განისაზღვრა პირთა წრე, ვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვაც მიიჩნეოდა საპატიოდ. მსგავს დებულებებს საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შესახებ აყალიბებდა 1962 წლის პროექტი და 1966 წლის ალტერნატიული პროექტი. სისხლის სამართლის რეფორმის შემდგომ კოდექსის ზოგადი ნაწილი ძალაში შევიდა 1975 წლის 1 იანვარს. სწორედ 1975 წლის სსკ-ის 35-ე მუხლშია მოცემული საპატიო უკიდურესი აუცილებლობის საკანონმდებლო ფორმულირება.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობის არსებობის წინაპირობებია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა (Notstandslage) და უკიდურესი აუცილებლობის ქმედება (Notstandshandlung). საპატიო უკიდურესი აუცილებლობა შეზღუდულია მოთხოვნის შესაძლებლობის პირობებით პატიების უარით სათანადო პირობების არსებობისას (Zumutbarkeitsklausel).

საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს შეიძლება დაცული იქნეს სიცოცხლე, სხეულებრივი მთლიანობა და თავისუფლება. აქაც ისევე, როგორც მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე უნდა იყოს ამწუთიერი და სხვა გზით აუცილებადი. ამასთან საფრთხე უნდა ემუქრებოდეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედს, მის ნათესავს ან ახლობელს. ამ ნიშნებით საპატიო უკიდურესი აუცილებლობა განსხვავდება მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობისაგან. შეზღუდულია როგორც დაცვის ქვემდებარე სამართლებრივ სიკეთეთა წრე, ასევე პირთა წრე, ვისი საფრთხის წინაშე მყოფ სიკეთეთა დაცვაც ნებადართულია კანონით.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება უნდა იყოს შესაბამისი საშუალება (geeignetes Mittel) საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩადენილი ქმედების არსებულ საფრთხესთან შესაბამისობის პრინციპს (Proportionalitätsgrundsatz), რაც ქმედების პატიების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ასევე აუცილებელია ქმედებას ახასიათებდეს სამართლებრივ სიკეთეთა გადარჩენის სურვილი (Rettungswille). წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება მოჩვენებით უკიდურეს აუცილებლობას, რაც არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობა არ გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ასევე მაშინ, როდესაც მოქმედმა საფრთხე თვითონ გამოიწვია (Notstandsgefahr verursacht hat) ან განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობის გამო მოეთხოვებოდა საფრთხის თავის თავზე მიღება.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დაკავშირებულია ბრალის გამორიცხვასთან ან პატიებასთან.* მას ხშირად უწოდებენ პირად უკი-

---

* ლიტერატურაში გამოიყენება გამოთქმა როგორც Schuldausschlieâungsgrund, ასევე Entschuldigungsgrund. ზოგი კრიმინალისტი (ბაუმანი, ვებერი, დრეჰერი) მიიჩნევს, რომ მათ შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს, რადგან პატიება ამავე დროს ნიშნავს ბრალის გამორიცხვას. გაბატონებული შეხედულებით Entschuldigungsgrund –სა და Schuldausschlieâungsgrund-ს შორის განსხვავება არსებობს, რადგან ისინი მოქმედებენ არსებითად სხვადასხვა შერაცხვის ელემენტებზე (ბოკელმანი, კაუფმანი; ეზერი, იეშეკი). იეშეკის აზრით „ბრალის უუნარობა და აუცდენელი

დურეს აუცილებლობასაც (individuellen Notstand). საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს ხდება ქმედების პერსონალური შეფასება. ამ დროს აუცდენელი საფრთხისაგან დაცული უნდა იქნას მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეები. მართალია, გარდა საკუთარი თავისა, შესაძლებელია ახლობლის ან ნათესავის სამართლებრივი სიკეთის საფრთხისაგან გადარჩენა, მაგრამ მათი სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლებისათვის საფრთხეს მოქმედი განიცდის როგორც საკუთარს. ამის გამო კანონმდებლობა მას ნებას რთავს ისევე იმოქმედოს მათ გადასარჩენად, როგორც საკუთარის. სწორედ ეს ამცირებს საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედების უმართლობისა და ბრალის შინაარსს, მის გასაკიცხაობას.

თუ როგორი ქმედება უნდა ჩაითვალოს საპატიოდ, მიუხედავად მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათისა, ეს კანონმდებლობის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული. ინგლისური სისხლის სამართლის მეცნიერება, ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკა, აყალიბებს იძულების შედეგად ჩადენილი ქმედების საპატიოდ ჩათვლის წინაპირობებს, რაც actus reus-ს და mens rea-ს არსებობის მიუხედავად მის დაუსჯელობას იწვევს, მაგრამ ჩვენი აზრით, ისინი მიუღებელია ქართული სისხლის სამართლისათვის, რამდენადაც განსხვავებულია როგორც დანაშაულისა და შერაცხვის კატეგორიების ცნებები, ასევე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების (დაცვის) საფუძვლები.

ამ მხრივ ქართული სისხლის სამართალი უფრო ახლოს დგას გერმანულ სისხლის სამართალთან. აქედან გამომდინარე, შემდეგში ჩვენ შევეცდებით სათანადოდ გამოვიკვლიოთ საპატიო უკიდურესი აუცილებლობის პრობლემა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მით უმეტეს, რომ უკიდურესი აუცილებლობის ამ ფორმას, გარდა გერმანიისა, ცნობს სხვა ქვეყნების მეცნიერება და კანონმდებლობა.

ედიშერ ფუტკარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის
ინსტიტუტის მაძიებელი, საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის წევრი.

შეცდომა არიან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. ორივე შემთხვევაში გაკიცხვის ღირსი ნაკლი სამართლის შეხედულებაზე თავიდანვე უარყოფილია, რადგან მოქმედი უუნაროა გაიგოს ქმედების უმართალობა ან შეძლოს მისი ხელმძღვანელობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედების სურვილის არც ფორმირება, არც განხორციელება არ შეიძლება გახდეს ბრალეული გაკიცხვის საგანი. სულ სხვაა საპატიო გარემოებებისას ისინი იწვევენ ქმედების უმართლობის და ბრალის შინაარსის შემცირებას...საპატიო გარემოებები განიხილებიან როგორც უმართლობისა და ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელთაც კანონმდებელი სასჯელისაგან განმათავისუფლებელ ძალას მიაწერს, რადგან დასჯადობის ზღვარი მიღწეული არ არის.“ Jeschek, Lehrbuch des strafrechts, Allg. Teil. Berlin, 1982 s. 385-386.

ბრალის გამომრიხველი გარემოებები მთლიანად გამორიცხავენ ბრალს, საპატიო გარემოებების დროს კი ბრალი მთლიანად არ გამოირიცხება, მაგრამ აუცილებელი ან იძულებითი მდგომარეობის გამო ქმედების უმართლობისა და ბრალის შინაარსი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც იწვევს ქმედების გაუკიცხაობას. საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედებამ შეიძლება მთლიანად არ გამორიცხოს ბრალი, მაგრამ იმდენად შეამციროს უმართლობის მნიშვნელობა, რომ მოქმედი არ გაიკიცხოს და სისხლის სამრთლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს.